საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2969-02
23/10/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ეკონომიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ეკონომიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის მინდობილი პირის 2017 წლის 21 აგვისტოს N2326-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის №6 და 2017 წლის 19 ოქტომბრის N11 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 23 ოქტომბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ეკონომიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ეკონომიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ალექსანდრე ერგეშიძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის სკოლა.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი